მიღება-ჩაბარების აქტი №228-08.07.2019-5,2-1-1

ქ. თბილისი **8 ივლისი, 2019 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ „აწარმოე საქართველოში“** (შემდგომში - შემსყიდველი, სააგენტო), წარმოდგენილი **სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის თინათინ როსტიაშვილის** (ამავდროულად ხელშეკრულების საფუძველზე ინსპექტირების განმახორციელებელი პირი) სახით და მეორე მხრივ, **ს.ს. „გამოფენების ცენტრი“** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი **დირექტორის რესან ქიქავას** სახით, ვადგენთ აქტს მასზედ, რომ ამა წლის 5 ივლისის №782-01/EG მოხსენებითისა და 2019 წლის 8 ივლისს გაფორმებული №228-08.07.2019-5,2-1 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებლის მიერ გაწეულ იქნა კვებითი მომსახურება (ყავის შესვენება 100 პერსონაზე) ექსპო ჯორჯიაში.
აღნიშნული მომსახურებისთვის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას 2 053,20 (ორი ათას ორმოცდაცამეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარს, რომელიც შემსყიდველის მიერ ანაზღაურდება ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში (ორგანიზაციის კოდი 24 07 02) 2019 წლის დაფინანსების ფარგლებში.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

ამასთან, წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი ადასტურებს, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

მხარეთა ხელმოწერები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „აწარმოე საქართველოში“	ს.ს. „გამოფენების ცენტრი“

აწარმოე საქართველოში